იურიდიული
დახმარების
სამსახური

შშმ პირთა უფლებები

ვინ ითვლება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირად?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევით, რომლის სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ ადამიანის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, რაც განპირობებულია ფიზიკური გარემოს, საზოგადოების დამოკიდებულებისა და სხვა ფაქტორების ერთობლიობით.

რა უფლებები აქვს შშმ პირს?

შშმ პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ ყველა იმ უფლებებით, რაც საყოველთაოდ აღიარებული და დაცულია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. შშმ პირებს, სხვა პირთა თანაბრად აქვთ:

- სიცოცხლის უფლება
- კანონის წინაშე თანასწორობის უფლება
- მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლება
- პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება
- წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისაგან თავისუფლებლების უფლება
- ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისა-გან თავისუფლების უფლება
- პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება
- მოქალაქეობისა და გადაადგილების თავისუფლება
- დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართვის უფლება
- აზრისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება
- საცხოვრებლისა და ოჯახის პატივისცემის უფლება
- განათლების უფლება
- ჯანმრთელობის უფლება
- შრომისა და დასაქმების უფლება
- ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის და სოციალური დაცვის უფლება
- პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება
- კულტურულ, სპორტულ, გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება

აქვს თუ არა შშმ პირს უფლება ისარგებლოს სოციალური პაკეტით და პროგრამებით?

შშმ პირს აქვს უფლება ისარგებლოს სოციალური პაკეტით და პროგრამებით, მისი მდგომარეობის და სტატუსის შესაბამისად. სოციალური პაკეტის დასანიშნად პირმა განცხადება უნდა წარადგინოს სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:

- შშმ პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის შემთხვევაში თან უნდა იქონიოთ, პირადობისა და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერი.

ვის უნდა მიმართოს შშმ პირმა უფლების დარღვევის შემთხვევაში?

იმ შემთხვევაში თუ დაირღვა შშმ პირის უფლებები, მას ან მის კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია მიმართოს:

- საქართველოს სახალხო დამცველს;
- სასამართლოს, ყოველგვარი გადასახდელის გადახდის გარეშე;
- საქართველოს პროკურატურას და საგამოძიებო ორგანოებს (მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე);
- და იურიდიული დახმარების სამსახურის ტერიტორიულ ოფისებს.

რა სახის სერვისის მიღება შეუძლია შშმ პირს იურიდიული დახმარების სამსახურისგან?

იურიდიული დახმარების სამსახური არის დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც მათ შორის იცავს შშმ პირთა უფლებებს. მისი მომსახურება ძირითადად მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- უფასო იურიდიული კონსულტაციებს ყველა დაინტერესებული პირისთვის ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე. კონსულტაციის მიღება შესაძლებელია როგორც პირადად, ისე სატელეფონო ზარით ან ონლაინ;
- სამართლებრივი დოკუმენტის მომზადებას;
- საადვოკატო მომსახურების გაწევას სასამართლოში სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის, წარმომადგენლობას ადმინისტრაციული წარმოებისას.

რომელი კანონები იცავს შშმ პირთა უფლებებს?

ძირითადი კანონები, რომელიც დაკავშირებულია შეზღუდულია შშმ პირთა უფლებებთან მოიცავს:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს შრომის კოდექსი;
- საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებ-ლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ;
- დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შე-სახებ კანონი;
- საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ;
- და სხვა ნორმატიული თუ კანონქვემდებარე აქტები.

ასევე არსებობს საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც იცავს შშმ პირთა უფლებებს:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ;
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული და სოციალური უფლებების საერთაშორისო პაქტი;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუ-დული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლე-ბების კონვენცია;
- ევროპის ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებათა დაცვის კონვენცია;
- ევროპის სოციალური ქარტია.

რა არის გაერო‍ს შშმ პირთა უფლებების კონვენცია, კომიტეტი და როდის უნდა მიმართოს პირმა ამ კომიტეტს?

გაერთიანებული ერების შშმ პირთა უფლებების კონვენცია არის ქვეყნების შეთანხმება, რომ დაიცვან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები. საქართველოს მთავრობამ კონვენციის რატიფიცირება 2013 წელს მოახდინა.

კონვენციის პირველ მუხლში განსაზღვრულია დოკუმენტის მიზანი, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ყველა უფლებითა და თავისუფლებით სრულყოფილად და თანასწორად სარგებლობასა და ადამიანის თანდაყოლილი ღირსების პატივისცემის ხელშეწყობას.

კონვენციის მიღების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი შშმ პირთა უფლებების დაცვის კომიტეტის შექმნა იყო. კომიტეტი ახორციელებს კონვენციის შესრულების მონიტორინგს და უფლებამოსილია განიხილოს წევრი სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ ინდივიდუალური განაცხადები და ანგარიშები. ის გასცემს დასკვნებს და შეფასებებს რეკომენდაციებთან ერთად ქვეყანაში კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

შშმ პირმა კომიტეტს უნდა მიმართოს იმ შემთხვევაში თუ წევრმა სახელმწიფომ, პირობითად საქართველომ, დაარღვია მისი კონვენციით დაცული უფლება და ადგილობრივ დონეზე, შიდა საშუალებების სრულად ამოწურვის შედეგადაც ვერ დადგა მისთვის სასურველი შედეგი ან შიდა საშუალებების ამოწურვის გარეშე, მაშინ როცა უფლებადამრღვევი აქტი არ საჩივრდება ან ქვეყნის შიგნით არაგონივრული ვადით გაჭიანურდა საქმის განხილვა.

სასურველია კომიტეტს მიმართვა გაეგზავნოს შიდა დონეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან მალევე, გონივრულ ვადებში.

უფასო იურიდიული დახმარების ცხელი ხაზი:

1485 ან 032 292 00 55

info@legalaid.ge

www.las.ge

www.children.las.ge

ბროშურა მომზადდა **იურიდიული დახმარების სამსახურის** მიერ **USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი** (EWMI) **ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) დაფინანსებით.

ბროშურის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია **იურიდიული დახმარების სამსახური** და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

მობილური აპლიკაცია: